


# Pay Line



## ინსტრუქცია

**Pay Line** გახლავთ ტერმინალი, რომელიც საშუალებას გაძლევთ განახორციელოთ თვენთვის აუცილებელი გადახდა სწრაფად და კომფორტულად!

**Pay Line**-ის მოხმარების წესი:

ტერმინალის ჩართვის შემდეგ მოლარე-ოპერატორი აფიქსირებს მოლარის ნომერს (მოლარე: 1) და მიმართავს გადახდის დამადასტურებელ ღილაკს (ჯამი). შემდეგ, მიუთითებს პაროლს (პაროლი: 1) და გადახდის დამადასტურებელ ღილაკზე განმეორებით დაჭერის შემდეგ ტერმინალი გადადის სამუშაო რეჟიმში.

ფეილანი შედგება 4 ძირითადი მენიუდან.

### 1) მოლარე-ოპერატორის მენიუ:

#### ❖ პროდუქტები

ნავიგაციის ღილაკების დახმარებით ირჩევთ სასურველ პროვაიდერს ხოლო შემდეგ უთითებთ თანხას,რის შემდეგაც "ჯამზე" დაჭერით უთითებთ ტელეფონის ნომერს. ამ ყველა პუნქტის შესრულების შემდეგ იბეჭდება ქვითარი, რომელიც კლიენტმა უნდა დაადასტუროს, შეყვანი ველების სისწორე, ტრანზაქციის წარმატებით შესრულების დასტურის მიზნით ტერმინალი გაწვდით გადახდის დამადასტურებელ ქვითარს. იმ შემთხვევაში, თუ იგი შეესაბამება მითითებულ მოთხოვნას, ოპერატორი ორჯერ აჭერს სისტემურ ღილაკს. ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავს გაუქმების ღილაკს.

#### ❖ ჩარიცხვის სტატუსი

ეს პუნქტი გეხმარებათ გაიგოთ თქვენი ჩარიცხვის სტატუსები (წარმატებულია/წარუმატებელია)

#### ❖ კავშირის შემოწმება

ამ პუნქტში გაიგებთ GPRS კავშირის მდგომარეობას

#### ❖ მოლარის შეცვლა

მოლარის მენიუდან გასვლა

#### ❖ ტერმინალი

ამ პუნქტში პარამეტრების შეცვლა აკრძალულია, გთხოვთ დაუკავშირდით ჩვენ სერვის ცენტრს

## 2) ანგარიშების მენიუ (დილაკი სქ):

### ❖ ცვლის ანგარიში

სმენის ანგარიშის რეპორტის ამობეჭვდა

### ❖ კლიენტის ბალანსი

დარჩენილი თანხა ტერმინალზე.

### ❖ დღის ანგარიში

ეს პუნქტი გიჩვენებთ დღის რეპორტს

### ❖ წინა დღის ანგარიში

ეს პუნქტი გიჩვენებთ წინა დღის რეპორტს

### ❖ თვის ანგარიში

ეს პუნქტი გიჩვენებთ თვის რეპორტს

### ❖ წინა თვის ანგარიში

ეს პუნქტი გიჩვენებთ წინა თვის რეპორტს

### ❖ პერიოდის რეპორტი

ეს პუნქტი გიჩვენებთ პერიოდის რეპორტს, რომელშიც უნდა შეიყვანოთ პერიოდის დასაწყისი თარიღი და დასასრულის თარიღი, შემდეგი თანმიმდევრობით "დღე/თვე/წელი"

## 3) ინკასატორის მენიუ (დილაკი 1.):

### ❖ ინკასირება

ეს პუნქტი აკეთებს ინკასაციას ტერმინალზე და ანულებს ყველა ინფორმაციას

### ❖ ბაზის ჩატვირთვა

ბაზის ჩატვირთვა საჭიროა სერვერზე დამატებული ახალი პროვაიდერების დასამატებლად ფეილაინში

### ❖ პაროლის შეცვლა

ამ პუნქტით, შეგიძლიათ შეცვალოთ ინკასატორის პაროლი

### ❖ სიგნალის სიმძლიერე

GSM ინტერენტის სიგნალის სიმძლავრე აისახება ტერმინალზე

#### 4) ადმინისტრატორის მენიუ (დილაკი 2.):

##### ❖ ბაზის ჩატვირთვა

ბაზის ჩატვირთვა საჭიროა სერვერზე დამატებული ახალი პროვაიდერების დასამატებლად ფეილაინში

##### ❖ სერვერის მისამართი

პუნქტი შექმნილია მხოლოდ სერვის ცენტრის თანამშრომლებისთვის

##### ❖ მოლარეები

ამ პუნქტით თქვენ შეგიძლიათ დაარეგულიროთ მოლარეები, შეცვალოთ პაროლი, დაამატოთ მოლარე.

##### ❖ პაროლები

აქ თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ ინკასატორის და ადმინისტრატორის პაროლი

##### ❖ ტერმინალი

ამ პუნქტში პარამეტრების შეცვლა აკრძალულია, გთხოვთ დაუკავშირდით ჩვენ სერვის ცენტრს

##### ❖ კავშირი კომპიუტერთან

პუნქტი შექმნილია მხოლოდ სერვის ცენტრის თანამშრომლებისთვის

##### ❖ ტერმინალის ვერსია

ამ პუნქტით თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ტერმინალის ვერსია ეკრანზე

##### ❖ ტერმინალის შეცვლა

ამ პუნქტში პარამეტრების შეცვლა აკრძალულია, პუნქტი შექმნილია მხოლოდ სერვის ცენტრის თანამშრომლებისთვის

##### ❖ სიგნალის სიზლიერე

ამ პუნქტით თქვენ გეზულობთ GSM ინტერნეტის სიმბლავრეს.

##### ❖ მოდემის IMEI

პუნქტი შექმნილია მხოლოდ სერვის ცენტრის თანამშრომლებისთვის

##### ❖ დარეკვა

პუნქტი შექმნილია მხოლოდ სერვის ცენტრის თანამშრომლებისთვის

## აბონენტების საყურადღებოდ!

ანგარიშის შევსება ბალის აბონენტებისთვის შესაძლებელია მხოლოდ 1, 2, 3 ლარით და 3 ლარის ჯერადი თანხის ოდენობით. (მაგ. 6, 9, 12 ა.შ.)

მაგთის, მაგთი ფიქსის, ჯეოსელისა და ბილაინის აბონენტებისათვის დეპოზიტის შევსება შესაძლებელია 1 ლარისა და მისი ჯერადი თანხის ოდენობით.

ქვითრის ამობეჭდვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისთვის დაუკავშირდით კომპანიის სერვის ცენტრს!

## Pay Line



### არამობილური პროვაიდერების ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის წესები

**Tbilgaz Pay** – თბილგაზი გადახდების მიღება ხდება შემდეგნაირად: ჯერ შეგვყავს დავალიანების რაოდენობა, რომელიც უნდა დაფაროს აბონენტმა, შემდეგ შეგვყავს აბონენტის ცხრანიშნა ნომერი და ტერმინალი გვიჩვენებს საბოლოოდ გადასახდელ თანხას. ამ შემთხვევაში ძირითად თანხას რა დავალიანებაც უნდა დაფაროს აბონენტმა ემატება საკომისიო 50 თეთრის ოდენობით.

**Caucasus Online** – პირველ რიგში ვირჩევთ ზუსტად იმ სერვისს, რომლის დავალიანების დაფარვაც სურს აბონენტს (DSL, GE-Link, 8-07, 8-00-30-30, 77-88-88). შემდეგ შეგვყავს თანხის ზუსტი რაოდენობა, რომლის გადხდაც სურს აბონენტს და ბოლოს აბონენტის ნომერი. გასათვალისწინებელია ქალაქი, რომლის ნომერზეც გვსურს დავალიანების დაფარვა. ნომერს წინ უნდა ერთვოდეს შესაბამისი ქალაქის კოდი რვიანის გარეშე. კოდები ქალაქების მიხედვით შემდგენიანია:

*თბილისი - 22*

*რუსთავი* - 24

*ბათუმი* - 282

*ქუთაისი* - 231

*გორი* - 270

ქალაქის კოდი და აბონენტის ნომერი იწერება ერთად, გადაბმულად.

**Rustavi City Hall** - გადასახდელი თნხის შეყვანის შემდეგ შეგვყავს აბონენტის პირადობის მოწმობის პირადი ნომერი. აუცილებლად უნდა შევიყვანოთ მხოლოდ იმ პიროვნების მონაცემები ვისთანაც ხელშეკრულება აქვს ქალაქ რუსთავის მერიას ანუ ვის სახელზეც არის არსებული დავალიანება.

**E money** - გადასახდელი თანხის შეყვანის შემდეგ შეგვყავს აბონენტის ანგარიშის ნომერი, რომელიც მაქსიმუმ 9 ციფრია.

**Rustavgaz Pay** - თანხის დაფიქსირების შემდეგ შეგვყავს აბონენტის ხუთნიშნა ნომერი

**Global TV** - თანხის დაფიქსირების შემდეგ შეგვყავს აბონენტის ექვსნიშნა ნომერი

**Donation Poti** - თანხის დაფიქსირების შემდეგ შეგვყავს ნებისმიერი ნომერი რომელიც რამდენიმე ციფრისგან შედგება, ამ ნომრის შეყვანა მხოლოდ ფორმალობაა და აუცილებელია უბრალოდ იმისთვის რომ ტრანზაქცია წარმატებით განხორციელდეს

**Donation Khobi** - თანხის დაფიქსირების შემდეგ შეგვყავს ნებისმიერი ნომერი რომელიც რამდენიმე ციფრისგან შედგება, ამ ნომრის შეყვანა მხოლოდ ფორმალობაა და აუცილებელია უბრალოდ იმისთვის რომ ტრანზაქცია წარმატებით განხორციელდეს

**Geonet Phone** - თანხის დაფიქსირების შემდეგ შეგვყავს აბონენტის ნომერი. მეტის სიზუსტისთვის: ამ პროვაიდერის აბონენტების ნომრები 47-00-00 დან იწყება და მთავრდება 47-49-99 ით. ეს ინფორმაცია მოწოდებულია შეცდომითი ტრანზაქციებისგან თავის დასაზღვევად

**CGC** - ქალაქ რუსთავის სატელეფონო მომსახურების გადახდაა. შეგვყავს შესაბამისი თანხა და აბონენტის ექვსნიშნა ნომერი.

**World Sim Card** - თანხის დაფიქსირების შემდეგ შეგვყავს აბონენტის თერთმეტნიშნა ნომერი. დაზუსტებისთვის პირველი ექვსი ციფრი მხოლოდ ორი სახისაა: (372 599) (372 531).

**Sportbet** - იგივე მაქსიმუმი. ანგარიშზე თანხაც სტანდარტული გზით ირიცხება. თანხის შეყვანის შემდეგ უბრალოდ შეგვყავს აბონენტის ნომერი, რომელიც მაქსიმუმ 6 ციფრისგან უნდა შედგებოდეს

**GlobalOne** - გლობალ ერთის გადასახადების მრეხა შემდეგნაირად ხდება. თანხის დაფიქსირების შემდეგ შეგვყავს აბონენტის ნომერი, რომელის წინაც ქალაქის კოდი უნდა აიკრიფოს ყველა შემთხვევაში გარდა თბილისის აბონენტებისა:

*თბილისი* - პირდაპირ ექვსნიშნა ნომერი (კოდის გარეშე)

*რუსთავი* - კოდი 34 და აბონენტის ნომერი

*ბათუმი* - კოდი 222 და აბონენტის ნომერი

*ქუთაისი* - კოდი 331 და აბონენტის ნომერი

*გორი* - კოდი 370 და აბონენტის ნომერი

*თელავი* - კოდი 350 და აბონენტის ნომერი

კოდი და აბონენტის ნომერი ყველა შემთხვევაში იწერება მიყოლებით

**Maximal** - თანხის შემდეგ შეგვყავს აბონენტის ნომერი რომელიც მაქსიმუმ ექვსი ციფრისგან შედგება

**Maximum** - თანხის შემდეგ შეგვყავს აბონენტის ნომერი რომელიც მაქსიმუმ ექვსი ციფრისგან შედგება

**Globalcom** - თანხის შემდეგ შეგვყავს აბონენტის ნომერი რომელიც მაქსიმუმ ათი ციფრისგან შედგება



**Adjarabet** -თანხის შემდეგ შეგვყავს აბონენტის ნომერი რომელიც მაქსიმუმ ექვსი ციფრისგან შედგება

**Croco** -თანხის შემდეგ შეგვყავს აბონენტის ნომერი რომელიც მაქსიმუმ ექვსი ციფრისგან შედგება

**თელასი, დასუფთავება თბილისის, თბილისის წყალი** – შეგვყავს თანხა რომლის გადახდაც უნდა მომხმარებელს, შეგვყავს ნომერი და ვასრულებთ ტრანზაქციას. გასათვალისწინებელია, რომ აბონენტს ანგარიშზე დაერიცხება 50 თეთრით ნაკლები. ეს 50 თეთრი წარმოადგენს საკომისიოს აღნიშნული ტრანზაქციისთვის

**სილენეტ საქართველო** - შეგვყავთ თანხა რომლის გადახდაც სურს მომხმარებელს და შემდეგ შეგვყავთ აბონენტის ნომერი ქალაქის კოდით (**8-იანის გარეშე**)მაგ: (32100100) , და ვასრულებთ ტრანზაქციას.

**მაგთი ფიქს EVDO** - თანხის დაფიქსირების შემდეგ შეგვყავს აბონენტის ცხრა ნიშნა ნომერი. პირველი სამი ციფრი მხოლოდ ერთი სახისაა: (888) , მაგ: 888100100 და ბოლოს ვადასტურებთ ტრანზაქციას.

**კრედო** - გადასახდელი თანხის შეყვანის შემდეგ შეგვყავს კრედოს აბონენტის ნომერი და ბოლოს ვადასტურებთ ტრანზაქციას.

**ბანი** - აირჩიეთ ჩამონათვალში **მაგთი ფიქსი**, -შეგვყავთ თანხა რომლის გადახდაც სურს მომხმარებელს და შემდეგ შეგვყავთ აბონენტის ნომერი კოდით (**851** ) , მაგ: (851XXXXXX) , და ვასრულებთ ტრანზაქციას.

**ახალი ქსელები** - თანხის დაფიქსირების შემდეგ შეგვყავთ აბონენტის 6 (ექვსი) ნიშნა ნომერი, თბილისის **კოდის გარეშე** ( გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ მხოლოდ თბილისის ქალაქის ნომერი უნდა შეიყვანოთ!) და ადასტურებთ ტრანზაქციას.

**ახტელი** - თანხის დაფიქსირების შემდეგ შეგვყავს აბონენტის 6 (ექვსი) ნიშნა ნომერი თბილისის **კოდის გარეშე** ( გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ მხოლოდ თბილისის ქალაქის ნომერი უნდა შეიყვანოთ!)და ადასტურებთ ტრანზაქციას.

**გლობალ სელი** - თანხის დაფიქსირების შემდეგ შეგვყავთ კოდი და აბონენტის 6 ნიშნა ნომერი! . გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ კოდი მხოლოდ 2 სახისაა : **37257, 37259**

**ნკ აზიანთი** - თანხის დაფიქსირების შემდეგ შეგვყავთ აბონენტის ნომერი რომელიც 7 (შვიდი) ციფრისგან შედგება

**ევროპა ბეთი** - თანხის დაფიქსირების შემდეგ შეგვყავთ აბონენტის ნომერი და ვასრულებთ ტრანზაქციას.

**ლიდერბეთი** - თანხის დაფიქსირების შემდეგ შეგვყავთ აბონენტის ნომერი რომელიც 6 (ექვსი) ციფრისგან შედგება

## ფეილაინის მუშაობის შეფერხების შემთხვევები:

1. **073** - დროებითი სისტემური შეფერხების დროს ფეილაინის ეკრანზე გამოიხატება წარწერა: '073'  
ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ დაელოდოთ პრობლემის მოგვარებას 15-20 წუთი.
2. **111**- არარსებული ნომრის აკრეფის შემთხვევაში ფეილაინის ეკრანზე გამოიხატება წარწერა: '111'
3. **121** - დილერისა და სუბ-აგენტის პირად დეპოზიტზე საჭირო თანხის არარსებობის შემთხვევაში ეკრანზე გამოიხატება წარწერა: '121'.

გმადლობთ, **Pay Line**-ის მომსახურებით სარგებლობისთვის!



**Pay Line**